

1964



საქართველოს  
თეატრალური  
სამსახურების  
წიგნი

3 1964




ს თ ს

საქართველოს თეატრალური საზოგადოების  
მ ო ა მ ბ ე

№ 3 (29)

19 თბილისი 64



რედაქტორი—ბ რ ი ბ ო ლ ფ ო ფ ხ ა ძ ე

პეჭ. მდივანი ლილი ლომთათიძე

---

---

**სარედაქციო კოლეჯია:**

დ. ანთაძე, შ. აფხაიძე, ვ. გოძიაშვილი,  
ნ. გურაბანიძე, ო. ევაძე, დ. მჭედლიძე,  
ბ. ქლენტი, ნ. შეანგირაძე, გ. ციციშვილი,  
ა. ხორავა, დ. ჯანელიძე.

---

---

დაიწყო ახალი თეატრალური წელი. ახალ წელს კი მაყურებელი თეატრს ახალი სპექტაკლების სიუჟეტს, ბედნიერებას და ახალ სიხარულს უსურვებს. ისტორიას ჩაბარდა გასული სეზონი. წავიდა იგი თავისი ტკივილებით, თავისი სიხარულით. გულწრფელად უნდა ვთქვათ, რომ ტკივილი უფრო მეტი იყო, ვიდრე სიხარული. გასულ სეზონში ჩვენს სცენებზე დაიდგა შექსპირისა და შილერის, ილიას, აკაკისა და სხვათა კლასიკური პიესები, თანამედროვე დრამატურგთა ბევრი ახალი ნაწარმოები, მაგრამ ამათგან ცოტათუ შერჩა რეპერტუარს. ეს არის ფაქტი!

ახლა ამოცანა ის არის, რომ ჩვენმა თეატრებმა დასძლიონ სიძნელები, აამაღლონ მხატვრული ოსტატობა, გვიჩვენონ ჩვენი დროის ადამიანი თავისი მდიდარი სულიერი ცხოვრებით, ამიტომ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორია ახალი სეზონის პერსპექტივები, რა პრობლემებს ასახავს, რას ეუბნება იგი ჩვენს მაყურებელს... ხომ ფაქტია, რომ მაყურებელი ხშირად იმიტომ შორდება თეატრს, რომ აღარ აკმაყოფილებს ის, რასაც სცენაზე ხედავს; სხვადასხვა აუდიტორიისა და თეატრის ინტერესები, დაკარგულია მათ შორის კონტაქტი, ისინი ვერ ზრდიან ერთმანეთს.

ახალი 1964-65 წწ. სეზონის რეპერტუარი მრავალმხრივ არის საყურადღებო, თეატრის სარეპერტუარო გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ქართულ ორიგინალურ პიესებს. აქვე უნდა ითქვას, რომ შეინიშნება ინსცენირებათა სიმრავლე. ამ პროცესს გარკვეული ობიექტური მიზეზები აქვს და არ შეიძლება ამის გამო მხარის არ დაუჭიროთ ინსცენირებას, მაგრამ აქაც საჭიროა ზომიერება. ინსცენირებას დადებით მხარეებთან ერთად გარკვეული ნაკლიც ახლავს. საქმე იმაშია, რომ პროზაული ნაწარმოების ინსცენირება საესეებით

ვერ შეესისხლობორცება დრამატურგიულ ფორმას. ამის გამო მას ხშირად აკლია დრამატურგიული ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი მთლიანობა, ხასიათების გამოკვეთილობა და კომპოზიციური შეკრულობა. ასე რომ, თეატრი დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ინსცენირებულ ნაწარმოებებს.

რეპერტუარი მთავარია თეატრში, მაგრამ იგი მაინც არ არის ყველაფერი: კარგი პიესა კარგი სპექტაკლის გარანტია როდია. თეატრის წარმატების ბედი ბევრად არის დამოკიდებული რეჟისორის დახელოვნებაზე. რეჟისორმა, როგორც დრამატურგის შემოქმედებითმა თანამზრახველმა, უნდა გვიჩვენოს ახალი თეატრალური გზები, უნდა მოძებნოს ახალი ფორმები, გაზარდოს ახალი აქტიორული ძალები. განა რეჟისურამ არ განსაზღვრა ქართული საბჭოთა თეატრის ბედი 20-30-იან წლებში? განა კ. მარჯანიშვილმა და ს. ახმეტელმა არ გაუკვლიეს გზა ახალ ქართულ დრამატურგებს?!

ერთი სეზონი ყველა პრობლემას ვერ გადაჭრის, ჩვენი ცხოვრების ყოველ მხარეს ამომწურავად ვერ ასახავს, მაგრამ მასაც შეუძლია უდიდესი როლი შეასრულოს ქართულ საბჭოთა თეატრის ისტორიაში. ამიტომ საჭიროა მთელი შემოქმედებითი ძალების მოზიდილობაცია. ტრადიციის დაცვა და ახლის ძიება— ეს არის ნამდვილი გზა დიდი ხელოვნებისა და ამ გზით უნდა იაროს ჩვენმა თეატრმა, იგი ვაკაცურად უნდა შეებძლოს ყოველივე იმას, რაც ხელს უშლის ჭეშმარიტად ახალს, ნოვატორულს და იმასაც, რაც უარყოფს წარსულის საუკეთესო მონაბოვარს.

ქართული საბჭოთა თეატრი ახალი დიდი ამოცანების წინაშე დგას. ჩვენი ხალხი სამართლიანად მოელის მისგან ახალ, მღელვარე სპექტაკლებს, რომლებიც მხატვრული სიმართლით ასახავენ ხალხის შემოქმედებით შრომას, მის მრავალფეროვან ცხოვრებას.

## პ ღ ე ნ უ მ ი

1964 წლის 15 ივნისს ჩატარდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის მე-6 პლენუმი, რომელიც მიემდგვნა რესპუბლიკის მიმდინარე თეატრალური სეზონის შედეგებს.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, დოდო ანთაძემ. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების სამმართველოს უფროსმა ამხ. ვახტანგ ჭელიძემ გააკეთა მოხსენება თემაზე: «რესპუბლიკის თეატრების 1963-64 წლების სეზონის შესახებ».

თეატრის საკითხებზე გამართული დისკუსიებისა და კონფერენციების დროს,—თქვა მომხსენებელმა,—ყველაზე მწვავედ ერთი საკითხი წამოიჭრება ხოლმე—ესაა მწერლობისა და თეატრის კავშირი. მწერლები თეატრებს საყვედურებენ, თითქოს ისინი სათანადო დანტერეგებას არ იჩენდენ მწერლების მიმართ, თეატრები კი თავის მხრივ თავიანთ წარუმატებლობას მწერლობას აბრალებენ. ეს დავა და დისკუსია პრესაშიც იჩენს ხოლმე თავს, საქმე კი, ჩვეულებრივ, გადაუწყვეტელი რჩება. ჩვენი თეატრები კვლავ ვერ უპასუხებენ იმ ამოცანებს, რასაც მათ წინაშე ხალხი და პარტია აყენებენ. თანამედროვეობის ამსახველი დიდი, მღელვარე სპექტაკლები კვლავ ძალიან იშვიათად თუ გამოჩნდება ხოლმე, ქართული საბჭოთა დრამატურგია კვლავ შეუწყნარებლად ნელი ტემპით ვითარდება. საკითხი მწერლობისა და თეატრის ურთიერთობისა ყველას გვაწუხებს, ამიტომაც ჩემი მოხსენება სწორედ ამით მინდა დავიწყო. ეს ძნელი საქმე, ძნელად გადასაწყვეტი და ძნელად მოსაგვარებელი, ადრე თუ გვიან უნდა მოგვარდეს და ამ მიზნით გადადგმული პირველი ნაბიჯიც ის უნდა იყოს, რომ შეწყდეს ყოვლად უსარგებლო და არაფრის მომცემი გადაბრალება. საჭიროა, რაღაც პრაქტიკული ღონისძიებები დაეგეგმოს. მწერლები-სა და თეატრების ურთიერთობის საკითხს ამიტომაც ვაყენებ წინა რიგში და მინდა პლე-

ნუმზეც მწვავედ იდგეს, რომ ამ ბოლო ხანებში შეინიშნება—არა თუ შეინიშნება, არამედ ძალიან მწვავედაც იგრძნობა—ეს თავდაზღვევის გაუმართლებელი ტენდენცია, რამაც საერთოდ ფართო გავრცელება ჰპოვა ჩვენში და რაც მე აქ სადისკუსიოდ გამომაქვს.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა იმაზე, რომ თეატრის ყველაზე მკვირვ საძიარკველს ლიტერატურა წარმოადგენს, რომ, რაც არ უნდა ერთი შეხედვით მიმზიდველი სპექტაკლი შექმნას რეჟისორმა, იგი მაინც ვერ შერჩება თეატრის ისტორიას, თუ მას საძიარკველად კარგი პიესა არ აქვს.

დღეს ჩვენში, ერთი, უკვე შეიძლება ითქვას, საშიში ტენდენცია შეინიშნება. საკითხი ეხება მხატვრული ნაწარმოების ინსცენირებას. თუ ზომიერად მივმართავთ ამ საქმეს—სასურველი და საჭიროც არის, მაგრამ გატაცებითა და ფართოდ ამისი გამოყენება, ვფიქრობ, თეატრის შემდგომი განვითარებისათვის საშიში იქნება.

ჩვენი მწერლები, თეატრები მეტისმეტად დაეწაუნენ არადრამატურგიული ნაწარმოებების ინსცენირების საქმეს, ამასთან საკმაოდ მოურიდებლადაც; ზოგი პიესად გადაკეთებულ ნაწარმოებს მხოლოდ საკუთარ გვარს აწერს, ზოგი კი—უფრო მორიდებული, სადღაც ქვემოთ მოიხსენიებს ავტორს. ასე მწვავედ იმიტომ ვაყენებ ამ საკითხს, რომ, ვფიქრობ, დროა ეს გარემოება მსჯელობის საგნად გახდეს. ვშიშობ, ამ იოლი გზით სიარულმა ჩვენი ყურადღება არ მოადუნოს დიდი, ნამდვილი დრამატურგიის შექმნის მიმართ.

ზოგიერთი ნაწარმოები,—ამბობს მომხსენებელი,—იტანს ინსცენირებას, ზოგი კი ნაკლებად ან სულ ვერ ითმენს პიესად გადაკეთებას. ამ გარემოებასაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა.

ნოდარ დუმბაძის მოთხრობებმა კარგად აიტანეს ეს ოპერაცია. ეტყობა, ინსცენირების ავტორმაც მეტი სიფრთხილე და სიყვარული გამოიჩინა ნაწარმოების მიმართ და ნაწარმო-

ებსაც ბევრი არ წაუგია, მაგრამ „ჯარისკაცის ქვერივმა“ კი, ამ კარგმა რომანმა, რომელმაც უკვე მოასწრო ქართველი მკითხველის სიყვარულის დამსახურება, ბევრი წააგო სცენაზე წარმოდგენისას. ამრიგად, მე იმასკი არ მოვიტხოვ, რომ ბრძოლა გამოვუსხადოთ და აღკვეთოთ ინსცენირებანი, არამედ იმას, რომ თეატრის განვითარების ნამდვილ გეზად ამ გზის არჩევა არ შეიძლება. ჩვენ ჩვენი ენერგია, ის ენერგია, რომელსაც დრამატურგიის განვითარებისა და ახალი ბიესების შექმნას უნდა ვანდომებდეთ, მეორე თუ მეთრე—ხარისხოვან საქმედ არ უნდა ვაქციოთ.

შემდეგ მომხსენებელმა განიხილა და შეაფასა რესპუბლიკის თეატრების მუშაობა.

ბათუმის დრამატული თეატრის მუშაობის შესახებ მან თქვა: „ბათუმის სახელმწიფო თეატრს ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ საქმე კარგად ვერ ჰქონდა ვერც მხატვრული დონის თვალსაზრისით, ვერც ეკონომიურად. მისი რეპერტუარი უინტერესო და მოძველებული იყო. საერთოდ ნიჭიერი და შემოქმედებითი კოლექტივი არ იყო მაქსიმალურად გამოყენებული. ჰქონდათ ცალკეული საინტერესო დადგმები, მაგრამ ისიც მეტწილად ძველითგან შემორჩენილი. ამ ბლენუმის ჩატარება რომ გადაწყდა, მე შევადგინე ერთგვარი დიაგრამები ცალკეულ თეატრებზე. დიაგრამებში თვალნათლივ აისახა სამი სეზონის სურათი რეპერტუარის სიმდიდრის და მრავალფეროვანების, მაყურებელთა მიზიდვისა და ფინანსური მდგომარეობის თვალსაზრისით. შარშანწინდელ სეზონში მხოლოდ ერთი თანამედროვე ბიესა ჰქონდა ბათუმის თეატრს, შარშანდელში—ორი, წლებიანდელ სეზონში უკვე განხორციელებული ექვსი დადგმიდან 4 თანამედროვეა. ეს დიდი პლიუსია, რომლითაც, სამწუხაროდ, ბევრი ჩვენი თეატრი ვერ დაიტრბაბებს. მეორე პლიუსი ის არის, რომ ამ ოთხი თანამედროვე ბიესიდან ორი ადგილობრივი ავტორებია, ბათუმელ ახალგაზრდა მწერლებს, ეკუთვნიან. მესამე პლიუსი იქნება „მინდია“ ვაჟას ნაწარმოებების მიხედვით, ინსცენირებული აგრეთვე ბათუმელი ავტორების გიორგი სალუქვაძისა და გიორგი ჟორდანისა მიერ. მე მინდა ზოგადად მოვასხენოთ, რომ საერთო პროფესიული დონე ამ დადგმებისას სასურველი და ფრიად დამაკმაყოფილებელია. ახლა ვაკვადნიერდები და ჩემს პირად შთაბეჭდილებას მოვასხენებ, მომიხილა თეატრის

ხელმძღვანელობის, სრულიად ახალგაზრდა ბიჭების—დირექტორ შოთა დავითაძისა და მთავარ რეჟისორ გიორგი ჟორდანისა ურთიერთობამ. იმ დიდმა, ჩემდა გასაოცრად ნამდვილად დიდმა სიყვარულმა, რასაც ეს ახალგაზრდა, მოღვაწეები თავიანთ თეატრისა და საერთოდ თეატრალური ხელოვნების მიმართ იჩენენ; იმ დიდმა ტაქტმა და ასეთი ახალგაზრდებისათვის თითქმის შეუფერებელმა დარბაზისლობამ, რასაც ისინი განუსაზღვრელად ყველა მსახიობისა თუ რეჟისორის მიმართ იჩენენ; იმ პირდაპირობამ და უშუალობის ატმოსფერომ, რითაც, ჩემი დაკვირვებით, მთელი კოლექტივი სუნთქავს და მუშაობს. მე გახარებული წამოვედი ამ თეატრიდან. იქ ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, ვერ იბოგინებს ვერავითარი დაჯგუფებები, რაც ბევრ, გაცილებით უფრო ნიჭიერ და შემდეგ თეატრალურ კოლექტივებს ღრღინს და აუძლებურებს.“

ახალგაზრდი თეატრის საერთო პროფესიული დონე, — აღნიშნა მომხსენებელმა, — სასურველად დამაკმაყოფილებელია. თეატრს ჰყავს საკმაოდ გამოცდილი, ნიჭიერი რეჟისორები და მსახიობები. ამ საქმეში მას დახმარებას უწევს ჩვენი თეატრალური ინსტიტუტი და ამით კარგ საქმესაც აკეთებს. თეატრის ერთ-ერთ დიდ მიღწევად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ იგი ისწრაფვის, ახალგაზრდი ბიესებით გაამდიდროს რეპერტუარს.

სოხუმის ქართული დაისის სპექტაკლების მხატვრული დონე საკმაოდ მაღალია; მსახიობები—სავსებით დამაკმაყოფილებელი. მთავარ რეჟისორად აქაც სავსებით ახალგაზრდა კაცია, ლევან მირცხულავა, რომელსაც თეატრალური ინსტიტუტი ამ რამდენიმე წლის წინათ დაუმთავრებია გიორგი ჟორდანისათან ერთად.

ორივე ახალგაზრდას გადაუწყვეტია, თავიანთი თეატრალური მოღვაწეობა ჩვენი განაპირა რაიონებიდან დაეწყოს. მათი არჩევანი მართლაც სწორი გამოდგა, რადგანაც ნამდვილად ნიჭიერი კაცი შორიდანაც საინტერესო ჩანს და მისი ღვაწლი ასეთ ადგილებში უფრო კარგად დაფასდება. ამ რამდენიმე წლის განმავლობაში ლევან მირცხულავას უკვე კარგა ბლომად სპექტაკლები დაუდგამს და ამჟამად გამოცდილ რეჟისორად გვევლინება. მასთან ერთად მუშაობს აგრეთვე ახალკურსდამთავრებული ნიჭიერი ახალგაზრდა რეჟისორი სანდრო მრეველიშვი-

ლი. ნიჭიერი და პერსპექტიული დასი ჰყავს თეატრს. ამ დასით მას ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. მსახიობები მონდომებული არიან, სიყვარულითა და სერიოზულობით ეკიდებიან თანამედროვე თემას, ქართულ პიესებს. უმთავრესად ახალგაზრდებისაგან არის დასი დაკომპლექტებული და უკვე მოუსწრიათ კიდევ შეხმატკბილება წინა თაობის მსახიობებთან“.

„ქუთაისის თეატრს, თავისი შორეული ტრადიციებითაც, — განაგრძო მომხსენებელმა, — ახლო წარსულითაც და დღევანდელი მდგომარეობითაც ყველა პირობა აქვს, კარგად ვართობს თავი მის წინაშე დასმულ ამოცანებს და ამას იგი ასრულებს კიდევ. თეატრს ჰყავს შესანიშნავი დასი პირველხარისხოვანი მსახიობებით, გამოცდილი და ნიჭიერი რეჟისორები. აკაკი ვასაძე, გარდა იმისა რომ იგი ჩვენი სცენის გამოჩენილი სტატია და არა ერთი და ორი სახისა თუ სპექტაკლის შემქმნელი, ღირსეული მსახიობები იმითაც, რომ თავის თეატრში ცდილობს დაამკვიდროს თანამედროვეობის ამსახველი რეპერტუარი. გაბედულად უღებს თეატრის კარებს ახალ დრამატურგებს, ენერგიულად და გულმოდგინებით მუშაობს ავტორებთან, ყოველდღიურად ცდილობს, თეატრში გაბატონებული ადგილი ქართულ საბჭოთა დრამატურგიას დააჭერინოს.

მიმდინარე სეზონში თეატრმა შეიძინა ახალი დადგმა განახორციელა და აქედან ექვსი — თანამედროვე თემაზე. ამ ექვსიდან ხუთი ქართულია. ამასთან თეატრის ყველა სპექტაკლი გამოირჩევა ნამდვილი პროფესიონალიზმით“.

მომხსენებელმა ცხინვალის სახელმწიფო თეატრის შესახებ თქვა: „წლების განმავლობაში ეს თეატრი ჩამორჩენილთა სიაში ირიცხებოდა მხატვრული ღირსების მხრივაც და ეკონომიურადაც. უმკამად მდგომარეობა გაცილებით უკეთესია. ოსურმა დასმა წელს აქ ოთხი ახალი დადგმა განახორციელა. აქედან სამი თანამედროვე ცხოვრებას ასახავს. თეატრს აქვს ჩამოყალიბებული თავისი გარკვეული სახე და იმედი უნდა ვიქონიოთ, მომავალში კიდევ უფრო გაამდიდრებს და გაამრავალფეროვნებს თავის რეპერტუარს. აქ მინდა მხოლოდ ერთი საკითხი დავსვა: ეს ზოგიერთ სხვა თეატრებშიც შეინიშნება: ხშირად ისეთ რამეს შევეჭიდებით ხოლმე, რისი წელიც არ მოგვადგეს და ამით ჩვენ საქმესაც ვაუჭებთ, მაყურებელსაც გემოვნებას ვუქვეითებთ და ავტორის წინაშეც შერცხვენილი გამოვდივართ. ჩვენ მომსწრე ვართ იმისა, რომ „კამლეთს“ და შექსპირის

ზოგიერთ სხვა ნაწარმოებს ბევრი უფრო დიდი თეატრი წამოუქცევია. რა თქმა უნდა, „კამლეთს“ განხორციელება გაჭირდებოდა ოსურ თეატრშიც. ამ სპექტაკლი მთელი ანსამბლი სუსტია, დადგმა მოკლებულია ერთ მთლიან რეჟისორულ გადაწყვეტას. თეატრის ხელმძღვანელობამ ასეთ უხერხულ მდგომარეობაში არ უნდა ჩააგდოს დასი. თეატრში ერთი საინტერესო რამ მოხდა: ამ სპექტაკლში გამოჩნდა ახალგაზრდა ნიჭიერი კაცი, თვითონ კამლეთის როლის შემსრულებელი აბაევი. მასში უსათუოდ შეინიშნება შინაგანი პოტენცია, განცდის ინტენსივობა და საკმაოდ კარგი პროფესიული მომზადებაც. ამ მსახიობს უნდა მიექცეს ყურადღება.

ქართულმა დასმა წელს მხოლოდ ორი ახალი დადგმა განახორციელა. აქედან ერთი თანამედროვე თემაზეა — „წეროები“, ხოლო მეორე — კლასიკური ნაწარმოების ინსცენირება — „მამის მკვლელები“. რა თქმა უნდა, რეპერტუარის ასეთი სიღარიბე დამაკმაყოფილებელი არ არის, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ნიჭიერმა ახალგაზრდა რეჟისორმა ანხ. რ. შაფთაშვილმა დასი ფეხზე დააყენა, გარკვეული სახე მისცა, ჩამოყალიბდა მოამზადა უფრო სერიოზული და მრავალფეროვანი მუშაობისათვის. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალ წელს თეატრი გააუმჯობესებს მუშაობას.

მომხსენებელმა თვალსაჩინო ადგილი დაიკავა თბილისის საბავშვო თეატრების მუშაობის ანალიზში. „დიდი ხანია, — თქვა მომხსენებელმა, — თბილისში არსებობს თოჯინების თეატრი, რომელსაც თავისი მაცურებელი ჰყავს. თეატრის ეზოში ყოველდღიურად მოდიან ბავშვები, არის დიდი ჟრიაშული. დარბაზი თითქმის მუდამ არის სავსე. თეატრს საკმაოდ კარგი მსახიობთა კადრიც ჰყავს. ეს არის სულ პატარების თეატრი, მისი მაცურებლები კი ჩვენი დიდი თეატრების მომავალი მაცურებლები არიან და ამდენად, საჭიროა ამ მომავალი მაცურებლის, როგორც მაცურებლის, გემოვნების ჩამოყალიბებაზეც ვიზრუნოთ. თეატრი, რამდენადაც ამის მონაცემები არსებობს და რამდენადაც ჩვენ ეს ვგახსოვს, საინტერესო მუშაობას აწარმოებდა. თეატრის მთავარი რეჟისორი გიორგი მიქელაძე, რომელიც ამ თეატრის ერთ-ერთ დამაარსებლად ითვლება, წლების განმავლობაში ენერგიულად, საქმის დიდი სიყვარულით მუშაობდა, მაგრამ ახლა პირდაპირ მინდა განვცხადო, რომ თეატრი სასურველ მხატვრულ დონეზე არ დგას. თეატრის ახლანდელი მხატვრული დონე ვერ დააკმაყოფილებს იმ ბავშვებს, რომლებიც კი-

ნოში თუ ტელევიზორში უყურებენ დიდის  
გემოვნებით და ოსტატობით დადგმულ მულ-  
ტიპლიკაციურ ფილმებს, ნახულობენ შესანიშ-  
ნავად გამოცემულ უამრავ საბავშვო ნახა-  
ტებს, მდიდრულად დასურათებულ საბავშვო  
ჟურნალებს. ყველა თეატრალური ჟანრადან  
ყველაზე პერსპექტიული თოჯინების თეატრი  
უნდა იყოს. ჩვენ გვაქვს ამის შესაძლებლობა.  
ჩვენი შესანიშნავი მხატვრები, ჩვენი კომპო-  
ზიტორები ყველა დიდ თოჯინების თეატრს  
შეშურდებოდა“.

„მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრ-  
ში,—ამბობს მომხსენებელი,—დიდი ხანი არ  
არის, რაც ხელმძღვანელობა შეიცვალა. ჯერ  
დირექტორი მივიდა იქ ახალი, და მერე—მთა-  
ვარი რეჟისორი. შეიძლება პირდაპირ ვაწვაც-  
ხადოთ, რომ ამჟამად მდგომარეობა გამოს-  
წორდა. კარგად არის დადგმული შექსპირის  
„მეთორმეტე ღამე“ და როზოვის—„მისი მე-  
გობრები“, თეატრის მომავალი წლის სავარა-  
უდო რეპერტუარში უკვე გათვალისწინებუ-  
ლია ქართული ორიგინალური პიესები თანა-  
მედროვე თემაზე, საჭიროა მეტი დახმარება  
აღმოვუჩინოთ თეატრს, რომლის ხელმძღვანე-  
ლობა და მთელი კოლექტივი მონდომებულია  
კარგი სპექტაკლის შესაქმნელად.

რუსულ მოზარდ მაყურებელთა თეატრს  
სხვა ხასიათის დახმარება სჭირდება. ამ ნიჭი-  
ერ კოლექტივს მუშაობა უხდება ძალიან ცუდ  
პირობებში. მისი შენობა ავარიულ მდგომა-  
რეობაშია, დღე-დღეზე შეიძლება ჩამოინგრეს.  
მუშაობის პირობები მიძიმეა. აქ მდგომარეობა  
სეზონის დაწყებიდანვე სტაბილური იყო. თე-  
ატრს ჰყავს აქტივორთა და რეჟისორთა გამო-  
ცდილი კადრები და საკმაოდ საინტერესო  
სპექტაკლებსაც დგამენ. წელს მათ მაყურე-  
ბელს უჩვენეს ხუთი ახალი სპექტაკლი“.

მომხსენებელი გადავიდა გრიბოედოვის სახ.  
დრამატული თეატრის მუშაობის შეფასებაზე  
და თქვა: „წლებადედი სეზონში ძალიან გაგვა-  
ხარა გრიბოედოვის სახელობის თეატრის ნი-  
ჭიერმა კოლექტივმა, რომელიც თანდათანობით  
იბრუნებს ძველ დიდებასა და სახელს. ეს შე-  
დეგია თეატრის ხელმძღვანელობის ენერგი-  
ული მუშაობისა, მთელი კოლექტივის თავდა-  
დებისა და მონდომებისა. თეატრს ნიჭიერი  
მსახიობები ჰყავს, რომელთა სახელები რეს-  
პუბლიკის გარეთაც არის ცნობილი, ოღონდ  
საჭიროა რეპერტუარის უფრო გამარავალფერო-  
ვნება. გრიბოედოვის თეატრის სარეპერტუ-  
არო პოლიტიკის ნაკლად მიმჩნია ის გარემო-

ებაც, რომ მის რეპერტუარში ძალიან იშვი-  
ათად ვხვდებით ქართულ პიესებს. მაგალითად,  
სამი წლის განმავლობაში დაიდგა მხოლოდ  
ერთი ქართული პიესა—„ეზოში ავი ძაღლია“.  
ამის გამართლება არაფრით არ შეიძლება“.

„კვლავ მიმიე მდგომარეობაში მუშაობს  
სახელმწიფო სომხური თეატრი,—განაგრძო  
მომხსენებელმა,—თეატრმა დაკარგა მაყურე-  
ბელი. რა უნდა იყოს ამის მიზევი?—დაბალი  
მხატვრული დონე. საჭიროა გადაამტრელი ზო-  
მების მიღება. ამ საქმეში მთავარი როლი, მე  
ვფიქრობ, კულტურის სამინისტროსა და თე-  
ატრალურ საზოგადოებასთან ერთად, მწერალ-  
თა კავშირის სომხურმა სექციამ უნდა შეას-  
რულოს. ახლო მომავალში საჭიროა კონკრე-  
ტული და მარჯვე ღონისძიებების დასახვა.“

მომხსენებელმა საფუძვლიანად გააანალიზა  
მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ თე-  
ატრის მუშაობა მიმდინარე სეზონში. „მარჯანი-  
შვილის თეატრმა,—თქვა მან,—მიმდინარე  
სეზონში მხოლოდ ოთხი ახალი სპექტაკლი  
დადგა. მაგრამ საქმე მარტო რაოდენობაში  
როდია. მთელი უბედურება ისარის, რომ არც  
ერთი ამ სპექტაკლთაგანი არ არის ასე თუ  
ისე დიდი მოვლენა. როცა ჩვენ მარჯანიშვი-  
ლის თეატრზე ვლაპარაკობთ, ნურას უკაცრა-  
ვად, მაგრამ იმ საზომებს ვერ მივუყენებთ  
მას, როგორც ზოგიერთ სხვა თეატრებს შეი-  
ძლება მივუყენით. ვიმოკრებ: წლებადედი  
სპექტაკლებიდან ჩვენ ვერ დავასახელებთ ვერც  
ერთს, რომ მარჯანიშვილის თეატრის სახელს  
ეკადრებოდეს. ამჟამად თეატრი გაცხოველე-  
ბით ემზადება მომავალი სეზონისათვის. გიგა  
ლორთქიფანიძე მუშაობს რეჟისორებთან. მო-  
მავალს კარგი პირი უჩანს. რეპერტუარის  
შედგენისას ყველაფერი უნდა იქნას გათვა-  
ლისწინებული—თანამედროვეობის თემაც თა-  
ვისი მრავალფეროვნებით, რევოლუციური წარ-  
სუდიც, სხვა საჭირო თემებიც, მაგრამ ისე,  
რომ რეპერტუარის შედგენისას მსახიობებიც  
არ გამოგვრჩეს მხედველობიდან. ისეთ მსახი-  
ობებზე, როგორც ვერიკო ანჯაფარაძე და  
სესილია თაყაიშვილი არიან, საგანგებოდ  
უნდა დაუუკვეთოთ პიესა. ამაზე ჩვენ ნაკლე-  
ბად ვზრუნავთ.

ახლა არუსთაველის სახ. დრამატულ თე-  
ატრზე გადავივარ.

არ ვიცი, რითი შეიძლება ავსნათ ის დამ-  
შვიდება, რასაც არუსთაველის თეატრის სამ-  
ხატვრო ხელმძღვანელი და საერთოდ ხელმძ-  
ღვანელობა მისცემია. არუსთაველის თეატრს

ამჟამად ორი სცენა აქვს. ამისათვის დიდი მადლობა ეკუთვნის ამ საქმის ინიციატორებს — დ. ალექსიძეს, მ. თუმანიშვილს და ნ. კიტიას. დასიც საკმაოდ დიდია. ასეთ პირობებში, იგულისხმება, თეატრმა თითქოს ორჯერ მეტი დადგმა უნდა განახორციელოს. (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დასის თითქმის უმრავლესობა დაუტვირთავია). ენახოთ, რა სურათი გვაქვს: შარშანწინ, როცა თეატრს მხოლოდ ერთი სცენა ჰქონდა, აქ დაიდგა შვიდი სპექტაკლი, აქედან ოთხი — თანამედროვე თემაზე. შარშან, როცა მეორე სცენა მომზადდა, მხოლოდ ხუთი სპექტაკლი დაიდგა, აქედან სამი — თანამედროვე თემაზე. მიმდინარე სეზონში კი დაიდგა ოთხი სპექტაკლი ორივე სცენაზე (აქედან ერთი თანამედროვე). ეს არის და ეს. მე მგონი, ცალკეული დადგმების ანალიზზე უფრო საინტერესოა სარეპერტუარო პოლიტიკის საერთო ანალიზი. მომიტყუონ ცალკეულმა მსახიობებმა, რომელთა შესანიშნავ თამაშს მე აქ დროის სიმცირის გამო ვერ მივუზღავ თავისას; დავემაყოფილდეთ ერთი ზოგადი შენიშვნით, რაც ამ შემთხვევაში რუსთაველის თეატრს ეხება, მაგრამ რითაც მინდა გავამახვილო ყურადღება საერთოდაც. თეატრს ოდითგანვე დაჰყვა ერთი ისეთი რაღაც, რასაც ვერავენ წაართმევს და ვერაფერი შესცვლის. ეს არის სიტყვა, ცოცხალი სიტყვა, მაყურებელთან ცოცხალი ურთიერთობა, ცოცხალი აზრი, რასაც წინ ვერაფერი დაუდგება. ეს შესანიშნავად, კარგად ჰქონდათ მომარჯვებული ჩვენს დიდ თეატრალურ მოღვაწეებს, ახლა კი ისე მეტყველებენ, რომ რუსთაველის თეატრის სცენიდან ადამიანს სიტყვებიც კი ვერ გაგირჩევიათ. მეტად დამახასიათებელია, რომ მსახიობის შერჩევა აქ მხოლოდ გარეგნობის მიხედვით ხდება და ოდნავ ყურადღებაც კი არ ექცევა მეტყველების კულტურას მაშინ, როდესაც ეს უნდა იდგეს პირველ პირობად, პირველ აუცილებელ ნიშნად მსახიობისათვის“.

დაასრულა რა მოხსენება, ვ. ჭელიძემ თქვა: „ჩვენი წლევეანდელი სეზონის ერთი შესანიშნავი დამახასიათებელი ფაქტი, რაც თვალში გვხვდება, ეს არის ახალგაზრდა რეჟისორების დაწინაურება და გაბედულად მიცემა დადგმებისა. ესენი არიან: გ. ჟორდანი, ლ. მირცხულავა, რ. სტურუა, ე. ევაძე, ა. ქუთათელაძე, გ. სეფისკვერაძე, გ. მაცხოვრავი-

ლი, შ. კუჭუხიძე, თ. აბაშიძე, ა. გამსახურდია, ლ. პაქსაშვილი, ჯაში და სხ.

ჩვენ უნდა დავსახოთ პრაქტიკული ღონისძიებანი, დაფიქრებულად და ჭკვიანურად შევადგინოთ მომავალი სეზონის რეპერტუარი ყველა მსახიობის შესაძლებლობის და ნიჭის გათვალისწინებით“.

თანამომხსენებლად გამოვიდა საქ. სსრ კულტურის სამინისტროს დრამატული თეატრების განყოფილების გამგე თ. ჯანელიძე.

„იმ თეატრებისათვის, — დაიწყო მომხსენებელმა, — რომლებზედაც დღეს მომიხდება საუბარი, წლევეანდელი სეზონი დიდი შემოქმედებითი დაძაბულობისა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, პასუხისმგებლობის გრძობის განსაკუთრებული ამაღლების პერიოდი იყო.

ცხადია, შემოქმედებით პროფესიული თვალსაზრისით როგორც რეჟისორული, ისე აქტიორული ოსტატობის დონე ჯერ კიდევ ვერ ამაღლდა სასურველ მიჯნამდე, მაგრამ ერთი რამ უეჭველად გეცემათ თვალში — ხალხის, მაყურებელთა ფართო საზოგადოების გაზრდილი ინტერესი თეატრისადმი. სწორედ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებო. ხალხი დაიძრა თეატრისაკენ და ეს არის ჩვენი რაიონული თეატრების ცხოვრებაში ყველაზე სერიოზული ფაქტი“.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო იმ რაიონული თეატრების მუშაობას, რომელთა შესახებ არ იყო აღნიშნული ძირითად მოხსენებაში.

„აი, თუნდაც ფოთის თეატრი, — სიტყვა მომხსენებელმა, — რომელიც ადრე ვერასვრდით ვერ დაიკვივნიდა მაყურებელთა განსაკუთრებული სიყვარულით. თეატრის რეპერტუარს შეადგენს: „მე ვხედავ მზეს“, პ. ვარვაშინსკის „სასჯელის შიშით“, დოდშავას და ჭითანავას სატირული კომედია „კაკუნები“, ნ. არეშიძის მელიორამა „ვინ არის დედა“, გ. ნახუცრიშვილის „ქიჭნაძე“, ი. ვაკელის, ს. მაჭავარიანის. გრ. ბერძენიშვილის, ფრ. ხალვაშის, აკ. გეწაძის და ა. აფთხილავას პიესები.

უკვე თვით ჩამოთვალაც კი ამ პიესებისა ნათელს ხდის ამ თეატრის პოზიციას და პრინციპებს სარეპერტუარო პოლიტიკის მხრივ.

ფოთის თეატრის მაგალითზე კიდევ ერთხელ მტკიცდება ის უდავო ჭეშმარიტება, რომ თეატრი მაშინ აღწევს თავის უპირველეს ამოცანას, როდესაც სწორად, პრინციპული პოზიციებიდან წყვეტს ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, როგორც სარეპერტუარო ხაზის წარმართვაა.“

ილაპარაკა რა მახარაძის თეატრის მუშაობაზე, მომხსენებელმა თქვა: —ეს თეატრი გამოირჩევა სანიმუშო შრომითა და შემოქმედებითი დისციპლინით. კოლექტივი მუშაობს თავდადებით და საუკეთესო შედეგებსაც აღწევს. მიმდინარე სეზონში განხორციელებული დადგმებიდან უნდა აღინიშნოს როზოვის „ვახშობის წინ“, რომელიც ამ თეატრში ახალმა მთავარმა რეჟისორმა ლ. პაქსაშვილმა დადგა. ძალიან კარგი და საინტერესო სპექტაკლია. მანვე ახლახან ურენა პრემიერა ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“. უფრო ადრე დაიდგა ი. ვაკელების „აპრაკუნე“ (რეჟისორი-გიორგი ჟურული), აკ. დევიძის — „ნატერვალის“ (ბ. ნაკაიძის დადგმა). გრადამისა, თეატრის რეპერტუარშია „მე ვხედავ მუხს“, მ. ჯაფარიძის ვოდვეილი „უსაშველო მამულები“, ლ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ და სხვ.

როგორც ვხედავთ, მახარაძის თეატრის ხელმძღვანელობაც უპირატესობას ანიჭებს თანამედროვე რეპერტუარს და ეს უქმნის თეატრს წარმატების უპირველეს პირობას.

შეეხო რა ჭიათურის თეატრის მუშაობას, მომხსენებელმა თქვა: —ჭიათურის თეატრის მოქმედ რეპერტუარში ჩვიდმეტი ბიესაა. აქედან ქართული ავტორისაა თორმეტი თანამედროვეობის ამსახველი ნაწარმოები. უკანასკნელი პრემიერა იყო რევაზ ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი“, რომელიც ხელოვნ. დამსახ. მოღვაწემ ცომაიამ დადგა. ჭიათურის თეატრს ნიჭიერი აქტიორული დასი ჰყავს. ეს არის მიზეზი იმისა, რომ სპექტაკლი „ჯარისკაცის ქვრივი“ პირველ რიგში აქტიორული შესრულებით იქცევა ყურადღებას. ჭიათურის თეატრი ყოველთვის ითვლებოდა, ასე ვთქვათ, „მიმეზობილქადა“, რადგან მისი ფინანსიური მაჩვენებლები ძალიან დაბალი იყო მუდამ. წელს აქაც საგრძნობლად გამოსწორდა მდგომარეობა, მაგრამ სასურველი დონისგან მაინც ჯერ შორს არის. როგორცა ჩანს, თეატრის ხელმძღვანელებს დიდი ძალისა და ორგანიზაციული ნიჭის გამოყვანება დასჭირდება, რათა მხარი გაუსწორონ რაიონში მომუშავე სხვა თეატრალურ კოლექტივებს.

ძნელია გაიზიარო ის პოზიციაც, —განაგრძო მომხსენებელმა, —რომელზედაც ზუგდიდის თეატრის ხელმძღვანელობა დგას რეპერტუარის შერჩევის საკითხში. წელს აქ მხოლოდ თანამედროვეობის ამსახველი ორი ბიესა დაიდგა და არც თუ ისე დიდი წარმატებით. თეატრის

გადაუღებელი ამოცანაა, კვალფიციური რეჟისორული და მსახიობური ძალებით დასის შევსება, რაც სიახლესა და მეტ შემოქმედებით გაბედულებას შესძენდა მას.

მომხსენებელი შეჩერდა აგრეთვე ს. ორჯონიკიძის სახელობის თელავის სახელმწიფო თეატრის მუშაობაზე. „თელავის თეატრის კოლექტივში, —თქვა მან. —უკანასკნელ ხანს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა შეინიშნება. ეს არის პროფესიონალიზმის საგრძნობი ამადღება. თეატრის მთავარი რეჟისორის გ. მაცხონაშვილის საქმიანობა რეპერტუარზე ზრუნვისთან ერთად მიმართულია პროფესიული ოსტატობის განმტკიცებისაკენ. ამისათვის მას ალბათი აქვს სწორი შემოქმედებითი გეზი. სპექტაკლზე მუშაობის დროს იგი ცდილობს, ჩასწვდეს გმირის სულიერ სამყაროს, აჩვენოს მისი საქციელის ლოგიკურობა და შინაგანი სიმართლე. თეატრის კოლექტივიც აღწევს გარკვეულ შედეგებს, ცხადია, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში.

წლევანდელ თეატრალურ სეზონში, —თქვა მომხსენებელმა, —გორის თეატრის დასი მუშაობდა მთელი დატვირთვით. მისი მიმდინარე რეპერტუარი ოცამდე ბიესისაგან შედგებოდა. თეატრის ხელმძღვანელობა ახლაც ფიქრობს რეპერტუარის შერჩევაზე, პერსპექტიული გეგმის დროულად მოხაზვაზე. თეატრმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ჩვენთვის უმთავრესი საზრუნავი ქართველ ავტორთა ბიესებია. ამ მიმართულებით მეტი დაფიქრება, ახალი თანამედროვე ბიესის შერჩევისას მეტი წინდახედულობა მართებს თეატრის ხელმძღვანელობას“.

მომხსენების დასასრულს თ. ჯანელიძემ თქვა: არც ერთი ქვეყნის სასცენო ხელოვნებას არ მიუღწევია ჭეშმარიტი განვითარებისათვის ეპოქის სულისკვეთების გამომხატველი მაღალმხატვრული ეროვნული დრამატურგიის გარეშე. ქართულ საბჭოთა დრამატურგიასაც ჰყავს თავისი თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომელთა საუკეთესო ნაწარმოებები ჩვენი სასცენო ხელოვნების შენამცნთა რიცხვს განეკუთვნება. ქართველ დრამატურგთა მოწინავე რაზმმა უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე თვალსაჩინო წარმატება მოიპოვა თანამედროვეობის ამსახველი ნაწარმოებების შექმნის სფეროში. ქართულ სცენაზე არა ერთხელ დადგმულა ჩვენი ცხოვრების საინტერესოდ ამსახველი ბიესა ქართველი ავტორისა,

მაგრამ, რაც დღემდე გაკეთდა, მაინც ძალზე მცირეა იმ მოთხოვნილებებთან შედარებით, რომელთაც პარტია და ხალხი, ჩვენი საზოგადოებრიობა უყენებს თეატრსა და დრამატურგიას.

ვ. ქელიძისა და თ. ჯანელიძის მოხსენებათა გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მის. მრევლიშვილმა, გ. ახვლედიანმა, ნ. შვანგირაძემ, გ. ლორთქიფანიძემ, ნ. ყიასაშვილმა, ა. ჩიმაკაძემ, ს. ზაქარიაძემ, ბ. ჟღენტმა,

შ. გაბესკირიამ, ვ. ანჯაფარიძემ, ნ. ურუშაძემ, დ. ჯანელიძემ, ა. ჩხარტიშვილმა, მ. პიასეცკიმ, თ. ევაძემ, ე. გუგუშვილმა ბ. კობახიძემ, მ. თუმანიშვილმა, ი. თავაძემ, მ. ჯაფარიძემ, კ. მახარაძემ, რ. სტურუამ, ნ. შალუტაშვილმა, აკ. დვალიშვილმა, ვ. კანდელაკმა, ნ. ჩხეიძემ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქ. კპ. ცკ-ის მდივანმა ამხ. დ. სტურუამ და ცკ-ის განყოფილების გამგემ ამხ. ნ. ჩერქეზიშვილმა.

## ბასტროლები მოსკოვსა და სოჭაში

ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის გასტროლებმა—(1964 წლის ივლისი) მოსკოვში, როგორც ყოველთვის, დიდი ინტერესი გამოიწვია.

„აბესალომ და ეთერი“, „დაისი“ ჩემი საყვარელი ოპერებია. ეს ნაწარმოებები მომისმენია პ. ამირანაშვილის და მ. ნაკაშიძის შესრულებით. სასიხარულოა, რომ ამ შედეგებს კვლავ ღირსეული შემსრულებლები ჰყავს თ. ჯოხთაბერიძის, თ. ზეინკლიშვილისა და ნ. ანდლუ-ლაძის სახით.

განსაკუთრებით მომწონს ქართველ მომღერალთა ლამაზი ხმები, მომწონს ორკესტრის და გუნდის შესანიშნავი ჟღერადობა.—გმადლობთ დღევანდელი სპექტაკლით მიღებული სიამოვნებისათვის.“—თქვა პირად საუბარში ე. ა. ბისტრიცკაიამ.

— ბრაგო! გმადლობთ! ბის!—ფარდის დაშვებისთანავე ისმის მასურებელთა შეძახილები.

პროფესორი პანტელეიმონ ბერაძე გვერდით მჯდომ გერმანელებს უამბობს „აბესალომ და ეთერის“ მოკლე შინაარსს.

—დიდებულია,—ამბობენ გერმანელები და თან დასძენენ: ჩვენ უბრალო ხალხი ვართ, არ ვიცით, რამდენად საჭიროა თქვენთვის ჩვენი აზრი, გეტყვით მხოლოდ იმას, რომ თქვენი ოპერაც და შემსრულებლებიც ძალიან მოგვწონს.“

ასე დაიწყო გასტროლის პირველი დღე.

მეორე დღეს კრემლის კარებს ძლივს შევაღწიეთ. „ზედმეტი ბილეთი ხომ არ გექნებათ?“—თავაზიანად კითხულობდნენ უბოლეთოდ დარჩენილი მასურებლები.

ვ. მ. ჭაბუკიანის ბალეტმა „ოტელომ“ კვლავ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. კრემლის ყრილობათა უზარმაზარი დარბაზი სავსე იყო ხალხით. უმრავლესობას უცხოელები შეადგენდნენ.

შთაბეჭდილებათა წიგნში ბევრმა უცხოელმა დატოვა აღფრთოვანებული ჩანაწერი, ხოლო სსრკ სახალხო არტისტმა, ბალეტის გამოჩენილმა ოსტატმა კრივერმა ეს ჩანაწერი უძღვნა ჭაბუკიანს. „Талант Вахтанга Чабукяни также сверкает, как и его балетмейстерское

дарование. Прекрасна вся труппа.“ Кригер.

საგასტროლო რეპერტუარში შედიოდა ქართული, რუსული, ასევე დასავლეთ ევროპის კლასიკოსთა ნაწარმოებები: ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, ს. პროკოფიევის „სემიონ კოტკო“, შ. ჰუნოს „ფაუსტი“ და ვერდის „ტრუბადური“. ბალეტები: ა. მაჭავარიანის „ოტელო“, ს. ცინცაძის „დემონი“ და ბალეტის საღამო. გარდა იმისა, რომ რეპერტუარი სწორედ და საინტერესოდ იყო შედგენილი, თეატრის შემსრულებელთა ძალები მაღალ მხატვრულ დონეზე იდგნენ. გუნდს, ორკესტრს მასურებელი ხანგრძლივ ოვაციებს უმართავდა.

თეატრის გასტროლების შესახებ მოსკოვის პრესა სისტემატურად აქვეყნებდა ობიექტურ რეცენზიებს, სადაც ჩვენი სპექტაკლები ძირითადად დადებითად არის შეფასებული. სოლისტები: ვ. ჭაბუკიანი, პ. ამირანაშვილი, ზ. კიკალეიშვილი, ვ. წიგნაძე, მ. ამირანაშვილი, ზ. კრავიშვილი, ნ. ანდლულაძე, თ. მუშკუდიანი, ზ. ხორავა, თ. თაქთაქიშვილი, ი. შუშანი, ა. გაგუა, თ. ზეინკლიშვილი, ლ. მითაიშვილი, ვ. გუნაშვილი, ნ. ტულუში, შ. კიკნაძე, ვ. გლუნჩაძე, ბ. მონავარდისაშვილი, თ. ჯოხთაბერიძე; დირიჟორები: ო. დიმიტრიადი, დ. მირცხულავა, ვ. ფალიაშვილი, ვ. აზმაიფარაშვილი, ჯ. კახიძე—მასურებელთა მოწონებას იმსახურებენ.

საინტერესო იყო ოპერა „ფაუსტის“ დადგმაზე გამოწვეული კამათი. ამ სპექტაკლმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, რადგან ახალგაზრდა დამდგმელთა ჯგუფის მიერ (დირიჟორი ვ. აზმაიფარაშვილი, რეჟისორი ვ. ანჯაფარიძე, მხატვარი მ. მურვანიძე) სპექტაკლი პირობითად არის გადაწყვეტილი. მიუხედავად ამისა, მოკამათენი ერთხმად აღიარებდნენ, რომ სპექტაკლი საინტერესოა როგორც ჩანაფიქრის მხრივ, ასევე შესრულების მხრივაც.

აი რას წერენ შთაბეჭდილებათა წიგნში იუგოსლაველი სტუმრები: „სპექტაკლი შესანიშნავია თავისი ორიგინალური ჩანაფიქრით—სისადავე და სიღრმე, გოთიკა და თანაშეღ-

როგებოდა—ეს უდაოდ ნიჭიერი სპექტაკლია”.

მაყურებელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თ. მუშეუდიანის მეფისტოფელმა და მ. ამირანაშვილის მარგარიტამ. აშხ. ფურცევამ პეტრე ამირანაშვილს პირადად მიულოცა ქალიშვილის წარმატება და თქვა:—მედეა ამირანაშვილს აქვს შესანიშნავი ვოკალური სკოლა, იგი ბრწყინვალე დიდი მომავალის მქონე პერსპექტიული ვოკალისტია.

სპექტაკლის წარმატება დაავირობინა ვ. ჭაბუკიანის მიერ დადგმულმა „ვალპურგიის ღამემ“. ასეთივე წარმატება ხვდა წილად „ტრუბადურს“, რომელშიც მანრიკოს შემსრულებელმა ნ. ანდლულაძემ დიდი მოწონება დაიმსახურა; ბ. ამირანაშვილის გრაფ-დილუნამ აღტაცებაში მოიყვანა მაყურებელი.

საინტერესო იყო ს. პროკოფიევის ოპერა „სიმონ კოტკოს“ დადგმა. სპექტაკლს ესწრებოდნენ დედაქალაქის პრესის წარმომადგენ-

ლები, მუსიკოსები, ინტელიგენცია. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი აღფრთოვანება, რომელიც ამ დადგმამ გამოიწვია. აცრემლებული პროკოფიევის მეუღლე სპექტაკლის დამთავრების შემდეგ დიდხანს უხდიდა მადლობას თეატრის შემოქმედებით კოლექტივს ასეთი ძლიერი და საინტერესო სპექტაკლისათვის. მოსკოვის შემდეგ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი გასტროლების ჩასატარებლად სოჭაში გაემგზავრა.

მზიურმა სოჭამ, ზღვისპირა ღამაზმა ქალაქმა ჩვეული სტუმართმოყვარეობით მიიღო თეატრის კოლექტივი. საბჭოთა მაყურებლებთან ერთად სპექტაკლს აქაც მრავალი უცხოელი ესწრებოდა. თითქმის ყოველ სპექტაკლზე სრული ანშლაგი იყო.

ზ. ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის აკადემიურმა თეატრმა დიდი წარმატებით ჩაატარა მიმდინარე წლის გასტროლები.





უჩვეულო და თავისებური იყო კ. მარჯანიშვილის თეატრის საგასტროლო ტურნე საქართველოს ქალაქებში, რაიონის ცენტრებსა და სოფლებში.

თეატრის კოლექტივი რამდენიმე საგასტროლო ბრიგადად დაიყო და განაწილდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში.

ყველაზე თვალსაჩინო გასტროლები დასავლეთ საქართველოში მოეწყო. თითქმის ერთი თვის განმავლობაში თეატრის ძირითადი ძალები დიდი წარმატებით მართავდნენ სპექტაკლებს მახარაძის, ფოთის, სამტრედიისა და მის ახლო მდებარე რაიონებში.

საგასტროლო რეპერტუარში შეტანილი იყო ბოლო წლების ისეთი საუკეთესო დადგმები, როგორცაა: „ხეები ზეზუურად კვდებიან“, „მედეა“, „ჯარისკაცის ქვრივი“ და „კონსული მოიპარეს“; ეს როდი იყო მხოლოდ: მახარაძისა და სამტრედიის მშრომელთათვის თეატრმა გამართა (სამტრედიის-სტადიონებზე) გამოსათხოვარი დიდი სადამო-კონცერტები, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ ქართული სცენისა და ესტრადის გამოჩენილი ოსტატები.

კ. მარჯანიშვილის თეატრმა საზაფხულო გასტროლები დაიწყო მახარაძეში. ადგილობრივმა პრესამ მთელი გვერდი დაუთმო კ. მარჯანიშვილის თეატრის გასტროლებს.

19 ივნისს მახარაძის სადგურზე თავი მოეყარათ ქალაქის ბარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების პასუხისმგებელ ამხანაგებს, ინტელიგენციას; აქ იყვნენ პიონერებიც ცოცხალი თავიულებით ხელში. ქალაქის მშრომელებმა გულმხიარული შეხვედრა გაუშარტეს საგასტროლოდ ჩამოსულ თეატრის კოლექტივს.

იმავე დღეს ნაჩვენები იყო ა. კასონას „ხეები ზეზუურად კვდებიან“. სპექტაკლის დაწყების წინ ქალაქის მშრომელთა სახელით თეატრის კოლექტივს მიესალმა და გასტროლების წარმატებით ჩატარება უსურვა მახარაძის რაიონული კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგემ. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა სსკ სახალხო არტისტმა, სახელმწიფო პემის ლაურეატმა ვერიკო ანჯაფარაძემ. პირ-

ველივე საგასტროლო სპექტაკლი, რომელიც მახარაძის დრამატული თეატრის ახალ შენობაში გაიმართა, დიდი შემოქმედებით აღმავლობით ჩატარდა.

თეატრმა ათი დღე დაჰყო მახარაძეში. საგასტროლო დეკადამ მაყურებელთა საერთო მოწონება დაიმსახურა. წარმოდგენებზე ბილეთების შოვნა ყოველთვის ჭირდა. ადგილობრივმა პრესამ მაღალი შეფასება მისცა კ. მარჯანიშვილის თეატრის საგასტროლო რეპერტუარს. სისტემატურად იბეჭდებოდა წერილები და რეცენზიები.

გასტროლების მეორე დღეს თეატრმა უჩვენა რ. ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი“. მაყურებელი კარგად შეხვდა მწერლის ცნობილი ნაწარმოების ახალ სცენიურ ინტერპრეტაციას; განსაკუთრებული მოწონება ხვდა მთავარი როლის შემსრულებელს, რესპ. დამსახ. არტისტს, დ. ჭიჭინაძეს.

თეატრმა დიდი შემოქმედებით აღმავლობით წარმოადგინა ევრიპიდეს სახელგანთქმული ტრაგედია „მედეა“.

მოწონებით შეხვდნენ მაყურებლები აგრეთვე გ. მედივის მხიარულ და ხალისიან პოლიტიკურ პაროდიას — „კონსული მოიპარეს“.

თეატრმა გაიმეორა ეს წარმოდგენები. ზოგიერთი მათგანი კი რამდენჯერმე იყო ნაჩვენები.

29 ივნისი გასტროლების ბოლო დღე იყო. გამოსათხოვარი საღამო ორ განყოფილებად იყო წარმოდგენილი. პირველ განყოფილებაში თეატრმა ვ. ანჯაფარაძის მონაწილეობით უჩვენა „მედეა“, მეორე განყოფილება მთლიანად დღეთმო კონცერტს. თეატრის სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ საესტრადო ხელოვნების გამოჩენილი ოსტატები: ვ. გოძიაშვილი, ს. თაყაიშვილი, ა. ჟორჟოლიანი, აკ. კვანტალიანი, ა. გომელაური, ტ. საყვარელიძე, თეატრის ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობები: დ. ანათქე, გ. გოგუა, თ. სხირტლაძე და სხვები.

დასასრულ, თეატრის კოლექტივს გასტროლების წარმატებით დამთავრება მიულოცა და ქალაქის მშრომელთა სახელით მადლობა გადაიხადა ბარტიის მახარაძის რაიონული კო-

მიტეტის პირველმა მდივანმა ანხ. ნ. მდინარაძემ. მანვე გადასცა თეატრის კოლექტივს სამახსოვრო სიკვლი.

გასტროლების პარალელურად თეატრმა მოაწყო გასვლითი წარმოდგენები მახარაძის ახლომდებარე სოფლებში: შემოქმედში („ხეები ზეზუურად კვდებიან“), ძიმითში („კონსული მოიპარეს“) და ნაგომარში („კონსული მოიპარეს“).

არანაკლები წარმატება ხვდა წილად თეატრის გასტროლებს სამტრედიისში. საგასტროლო წარმოდგენები კულტურის სახლის შენობაში გამართა თეატრმა. სამტრედიელებმა გულთბილი შეხვედრები გაუშარათეს კ. მარჯანიშვილის თეატრის სახელგანთქმულ კოლექტივს.

სამტრედიისში გასტროლები 30 ივნისს დაიწყო და 6 ივლისამდე გაგრძელდა. გასტროლების პირველ დღეს თეატრს მისასალმებელი სიტყვით მიმართა სამტრედიის კულტურის სახლის დირექტორმა ვ. ჩიგოვიძემ. თეატრის სახლით საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ვერიკო ანჯაფარიძემ, რის შემდეგ მაყურებელს უჩვენეს ა. კასონას „ხეები ზეზუურად კვდებიან“. წარმოდგენას ერთსულოვანი მოწონება ხვდა წილად, განსაკუთრებით კი—ეუხენას როლის შემსრულებელ ვერიკო ანჯაფარიძეს. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ დიდხანს არ ცხრებოდა მაყურებელთა აპლოდისმენტები, ბოლო არ უჩანდა მსახიობების გამოძახებას სცენაზე. ეს დადგმა კვლავ გაიმორა თეატრმა. ასევე მეორედ უჩვენეს საგასტროლო რეპერტუარის სხვა დადგმებიც—„კონსული მოიპარეს“ და „ჯარისკაცის ქვრივი“. გასტროლების ბოლო დღეს, 5 ივნისს, ქალაქის სტადიონზე მოეწყო გამოსათხოვარი დიდი სადამო—კონცერტი. სადამოს ათასობით მაყურებელი დაესწრო. ეს იყო გრანდიოზული თეატრალიზირებული სანახაობა, რომელიც მარჯანიშვილის თეატრმა ღია ცის ქვეშ მოაწყო. სადამო კვლავ ორ განყოფილებად ჩატარდა, შთაბეჭდავი და განსაკუთრებული იყო ძველი ბერძნული ტრადიციის მიხედვით სტადიონზე „მედეას“ ჩვენების ფაქტი. დიდი წარმატება ხვდა აგრეთვე მეორე განყოფილებაში გამართულ კონცერტს, სადაც ქართული ესტრადის კარგად ცნობილი მსახიობები: ვ. გომიაშვილი, ს. თაყაიშვილი, ა. ჟორჯოლიანი და სხვები—იღებდნენ მონაწილეობას.

პარალელურად თეატრმა მოაწყო გასვლითი

წარმოდგენები წულუკიძეში („ხეები ზეზუურად კვდებიან“, „კონსული მოიპარეს“) და ლანჩხუთში („კონსული მოიპარეს“).

6 ივლისს კ. მარჯანიშვილის თეატრის კოლექტივი საგასტროლოდ ეწვია ქ. ფოთს. ერთი დღით ადრე ქალაქის პრესა ფართოდ იუწყებოდა თეატრის გასტროლების შესახებ. აქ გაზეთის მთელ გვერდებზე მოთავსებული იყო მსახიობების მისასალმებელი წერილები და პორტრეტები, აგრეთვე ფოტოსურათები საგასტროლო რეპერტუარიდან. ჩამოსვლისას ქალაქის მშრომლებმა შეხვედრა მოუწყეს თეატრის კოლექტივს რკინიგზის სადგურზე და ცოცხალი ყვავილების თაიგულები მიართვეს მსახიობებს. იმავე დღიდან ფოთის დრამატული თეატრის შენობაში წარმატებით დაიწყო მარჯანიშვილის თეატრის გასტროლები. ნაჩვენები იყო „ხეები ზეზუურად კვდებიან“, „ჯარისკაცის ქვრივი“, „მედეა“, და „კონსული მოიპარეს“. იგივე წარმოდგენები მეორედ უჩვენეს მაყურებლებს. თეატრი მოემსახურა სუფსის მშრომლებსაც (ნაჩვენები იყო ვ. მდივნის „კონსული მოიპარეს“).

12 ივლისს თეატრის კოლექტივმა წარმოდგინა ევრიპიდეს „მედეა“. ამით დამთავრა კ. მარჯანიშვილის თეატრმა 1964 წლის საზაფხულო გასტროლები დასავლეთ საქართველოში.

ამ გასტროლების დროს თეატრმა გამართა 35 წარმოდგენა და მოემსახურა 20 ათასზე მეტ მაყურებელს.

დასავლეთ საქართველოს პარალელურად თეატრის კოლექტივი საგასტროლოდ ეწვია აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებს, რაიონულ ცენტრებსა და სოფლებს. აქ საგასტროლო რეპერტუარი მინიმუმამდე იყო დაყვანილი. სამაგიეროდ თეატრმა უჩვენა სრულიად ახალი წარმოდგენა, რომელსაც არ იცნობდა დედაქალაქის მაყურებელი. ეს იყო ს. ბეგიაშვილის დრამატული კომედია „უცნობი“. მისი პირველი ჩვენება გაიმართა 21 ივნისს ქ. რუსთავში. პრემიერას დიდძალი ხალხი დაესწრო. თეატრის ახალი დადგმა კარგად მიიღო მაყურებელმა. განსაკუთრებული მოწონება ხვდა აქტიორების, რესპუბლიკის სახალხო არტისტების: ს. თაყაიშვილის, მ. დავითაშვილის, ა. გომელაურის; რესპუბლიკის დამსახ. არტისტების—ი. ტრიპოლსკის, ე. ყიფშიძის—და მთავარი როლის შემსრულებლის, მსახიობ ო. მელენიეთუხუცესის და სხვ. ოსტატურ თამაშს.

პირველი სცენური „ნათლობის“ შემდეგ რუსთავიდან ეს წარმოდგენა თეატრმა გაიტანა და დიდი წარმატებით უჩვენა გურჯაანის, ყვარლის, თელავის, ველისციხის, ვაზისუბნის, დუშეთის, საგარეჯოს, გორის, ბოლნისის მშრომელებს.

რამდენიმე ხნის შემდეგ თითქმის იმავე რაიონებში გაიმართა კ. მარჯანიშვილის თე-

ატრის მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო დადგმის რ. ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივის“ ჩვენება.

კ. მარჯანიშვილის თეატრის წლებანდელი საგასტროლო ტურნეები თუ ცალკეული წარმოდგენები ყველგან იმსახურებდნენ ცხოველ ინტერესს პრესისა და საზოგადოებრიობის მხრივ.

1963-64 წლის სეზონში რუსული დრამატული თეატრი იყო გასტროლებზე ქ. სოხუმში, ბათუმში, ფოთში.

თეატრი მთელი გასტროლების პერიოდში აწყობდა ვასელით სპექტაკლებს აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკურორტო ქალაქებსა და დიდ საწარმოო ცენტრებში.

გასტროლებზე თეატრს წადებული ჰქონდა 7 სპექტაკლი: როზოვის „ვახშმოზის წინ“, ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“, აფინოგენოვის „მაშენკა“, ზლობინის და სელენიოვის „შესანიშნავი დღე“ ფსაფასის „საჭიროა მატყუარა“, ვიტლინგერის „ვარსკვლავიდან ჩამოფრენილი კაცი“ და გიბსონის „ორნი საქანელაზე“.

თეატრის რეპერტუარმა მისცა საშუალება მაყურებელს, გასცნობოდა რუსული და ქართული დრამატურგიის საუკეთესო ნაწარმოებებს და დასავლეთ ევროპის თანამედროვე პროგრესულ მწერლებს.

სპექტაკლებში დაკავებული იყვნენ წამყვანი მსახიობებთან ერთად თეატრის ახალგაზრდა მსახიობებიც.

სპექტაკლების თემატიკა იყო მრავალფეროვანი. წინა პლანზე იყო წამოწეული მორალურ-ეთიკური საკითხები, ბრძოლა მშვიდობისათვის, პიროვნების ჩამოყალიბება, გაკიცხვა ჯერ კიდევ ბევრი უარყოფითი საყოფაცხოვრებო საკითხებისა.

სპექტაკლები აღელვებდა მაყურებელს, იწვევდა აქტიურ რეაქციას დარბაზში, იზიდავდა ფართო თეატრალური საზოგადოებრიობის ყურადღებას. გასტროლების პერიოდში სპექტაკლები მიდიოდა ანშლაგებით.

პრესა ყოველდღიურად ეხმაურებოდა სპექტაკლებს, ათავსებდა რა მათზე ინფორმაციებსა და რეცენზიებს.

წარმატებით სარგებლობდა ა. გომიაშვილი სპექტაკლში „ეზოში ავი ძაღლია“ (ვანო ლაითაძე), „საჭიროა მატყუარა“ (მატყუარა), „ორნი საქანელაზე“ (დჯერრი რაიან). „ვარსკვლავიდან ჩამოფრენილი კაცი“, (ფსიქიატრიული საავადმყოფოს დოქტორი); ნ. ბურმისტროვა — „ორნი საქანელაზე“ (მიტელი მოსკა) „ვარსკვლავიდან ჩამოფრენილი კაცი“ (მოწყალების და), „საჭიროა მატყუარა“, (ჯენი); მ. პიასეცკი სპექტაკლებში: „მაშენკა“ (პროფესორი ოკაემოვი), „საჭიროა მატყუარა“ (თეოფილოს ფერეკისი); ი. შვეჩუკი „ვარსკვლავიდან ჩამოსული კაცი“ (პანს კიფერი), „ვახშმოზის წინ“ (გრიშა დ. სლავინი) პროფესორი ოკაემოვი („მაშენკა“), ჩიჟიკოვი („შესანიშნავი დღე“) თ. ბელოუსოვა; ვერა მიხაილოვნა („მაშენკა“), ვარვარა კარპოვნა („ეზოში ავი ძაღლია“).

თეატრის ახალგაზრდა მსახიობებმა: ლ. კრილოვამ, ნ. კილასონიძემ, რ. მასტიკმა, ვ. ვინოვამ — სანტიერესო და დასამხსოვრებელი სახეები შექმნეს სპექტაკლებში: „მაშენკა“, „ვახშმოზის წინ“, „ეზოში ავი ძაღლია“.

საგასტროლო პერიოდში კოლექტივი ატარებდა საშეფო და სამხედრო საშეფო ღონისძიებებს. ეწყობოდა შემოქმედებითი შეხვედრები წარმომებში, საშეფო სპექტაკლები და კონცერტები. ამ პერიოდში წარმოდგენილი იქნა სულ 58 სპექტაკლი.

1964 წელს საგასტროლო სეზონის ბრწყინვალედ ჩატარებისათვის თეატრი აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაჯილდოებული იქნა საპატიო სიგელით, აგრეთვე პრემირებული იქნენ თეატრის წამყვანი მუშაკები, რომლებმაც განაპირობეს საგასტროლო სეზონის წარმატებით ჩატარება.

### 3. აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიის

#### სახელმწიფო თეატრის გასტროლები

1964 წლის 9 ივნისს სოხუმის ფილარმონიის საზაფხულო თეატრში ოპერებით „სიმღერა თბილისზე“ დაიწყო თავისი ხანგრძლივი გასტროლები ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრმა. 28 სექტემბრამდე შემოქმედებითა კოლექტივმა მაყურებელთა საერთო მოწონებითა და სიყვარულით მოიარა დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი პუნქტები: სოხუმი, ბათუმი, ცხაკაია, ქუთაისი, ჭიათურა, ტყიბული. თითქმის ყოველ საღამოს თეატრი წარმოდგენებს მართავდა სოფლის მეურნეობების მუშაკთათვის კოლმეურნეობებისა და მსხვილი საწარმოების კულტურის სახლებსა და კლუბებში.

გასტროლების მთელ პერიოდში (9 ივნისიდან 28 სექტემბრამდე) ნაჩვენები იქნა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 179 წარმოდგენისა 211 წარმოდგენა და კონცერტი, რომელსაც გეგმიური 97,8 ათასი მაყურებლის ნაცვლად დავსწრო 103,7 ათასი მაყურებელი.

გასტროლების წარმატებით ჩატარების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა თეატრის ფინანსური ბაზა.

თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი საფუძვლიანად მოემზადა გასტროლებისათვის. მრავალათასიან აუდიტორიებს ყოველ საღამოს ხიბლავდა დრამატურების: ლ. ჭუბაბრიას, ნ. ხუნწარიას, პ. გრუზინსკის, ო. რაზმაძის, ნ. შატუნოვსკის; კომპოზიტორების: შ. მილორავას, ს. ცინცაძის, რ. ლაღიძის, შ. აზმაიფარაშვილის, პაუბეგოვის, შ. ჯოჯუას; რეჟისორების: ა. ჩხარტიშვილის, აკ. ვასაძის, შ. მესხის, უ. დარჩიას, გ. ქართველიშვილის; მხატვრების: ფ. ლაბიაშვილის, ა. ასკურავას, ნ. ყაზბეგის, შ. ჩიქოვანის, ლ. მუშკუდიანის, ო. ლითანიშვილის, ო. მაკარაშვილის და სხვათა ნააზრევი.

რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებს: ვ. სალარიძეს, ე. ჩოხელს, ბ. იანვარაშვილს, ე. გურაშვილს, თ. მერკვილაძეს, ქ. კობახიძეს; მსახიობებს: თ. ხელაშვილს, ო. ბახტაძეს, ჯ. თალაკვაძეს, ნ. ლაღიძეს, მ. ხოფერიას, ა. კვიციანიას, თ. კოდანიშვილს, ლ. ჩიბალაშვილს, ლ. კორძაძეს, ი. ვასაძეს, ზ. კახიანს, ი. ქუთათელაძეს, ბ. ბეგალიშვილს, ნ. პიპინაშვილს და სხვებს მიჰქონდათ მაყურებლებთან სპექტაკლების: „სიმღერა თბილისზე“, „მეკარე“, „მხოლოდ შენ ერთს“, „მეგობრები“, „შესანიშნავი სამეული“, „სამი უფროსის მსახური“, „მე და ჩემი მეზობლები“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „აბლაბუდა“, „არშინ მალ-ალან“, „ორი ქალიშვილი“, „ჩანიტას კოცნა“, „ცირკის პრინცესა“, „მონმარტრის ია“—მომზიბლაეობა და შთაგონება.

გასტროლების პერიოდში თეატრის შემოქმედება მსჯელობის საგნად იქცა ფართო მაყურებლისათვის. შემოქმედებითი შეხვედრები ყოველთვის პრინციპული და ობიექტური იყო. გაზეთებმა: „საბჭოთა აფხაზეთი“, „საბჭოთა აჭარა“, „კოლხეთის ცისკარი“, „ქუთაისი“, „ქიათურის მადაროელი“, „წინსვლა“—ფართო ყურადღება დაუთმეს თეატრის შემოქმედებით ცხოვრებას გასტროლების პერიოდში.

დღეს, როდესაც ეს ხანგრძლივი ტურნე წარმატებით დამთავრა, ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი უკვე ახალი ნათელი ამოცანების წინაშე დგას. სულ მალე ახალი სრულყოფილი შენობის პირველ მაყურებელზე ვზრუნავთ და გაცხოველებით ემზადდებით, რომ ახალი შემოქმედებით შეხვდეთ ჩვენს პირუთენელ განმსჯელს,—ობიექტურ თბილისელ მაყურებელს.



თბილისელი მაყურებელი ინტერესით შეხვდა მახარაძის სახელმწიფო თეატრის გასტროლებს, რომელიც დაიწყო მარჯანიშვილის სახელობის თეატრში 20 ივნისს და გაგრძელდა პირველ ივლისამდე.

მახარაძელებმა თბილისში 7 დადგმა ჩამოიტანეს: ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე ვხედავ მზეს“, ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“, ა. ფურცელაძის „მაცი ხვითა“ (ინსცენირება გ. ლუხუტელის), ი. ვაკელის „აპრაკუნე“, მ. ჯაფარიძის „უსაშველო მამულები“, დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ და ვ. როზოვის „ვახშობის წინ“.

29 ივნისს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მოაწყო მახარაძის თეატრის საგასტროლო სპექტაკლების განხილვა-დისკუსტი.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტის თავმჯდომარემ, რესპ. სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ თბილისელი მომთხოვნე მაყურებლის წინაშე ვამოსელა, რაც ძალზე საპატიო და ამავე დროს პასუხსაგები მოვალეობაა, მახარაძის თეატრის კოლექტივმა მოსაწონად შესძლო და თეატრალური საზოგადოებრიობის გარკვეული ინტერესიც გამოიწვია.

მოსხენებით თემაზე: „მახარაძის თეატრის საგასტროლო რეპერტუარი“— გამოვიდა თეატრმცოდნე ნ. შვანგირაძე. მან თქვა: „ქქვის წლის წინათ, როდესაც მახარაძის სახელმწიფო თეატრმა თბილისელ მაყურებელს შეფასებისათვის თავისი ხელოვნება ჩამოუტანა, მას სამართლიანად შენიშნეს რეპერტუარში კლასიკური ბიესების უქონლობა. ამჯერად თეატრმა მეგობართანვე განსჯისათვის ისეთი ნაწარმოებები წარმოადგინა, რომლებმაც დაადასტურეს მახარაძელ შემოქმედელს მისწრაფება ხალხის მაღალი სურვილების რეალიზაციისაკენ.“

მახარაძის სახელმწიფო თეატრს შეიძლება ბევრ რამეში არ დავეთანხმოთ, ვეკამათოთ, ჭუსაყვედუროთ კიდევაც, რომ მის სპექტაკლებში სანტერესო ჩანაფიქრი ზოგჯერ ნა-

თელი და ბოლომდე განხორციელებული არ არის, მაგრამ არ შეიძლება არ შევამჩნიოთ, რომ მას აქვს უნარი და მისწრაფება, ჩამოაყალიბოს თავისი საკუთარი ხელწერა. თეატრის ეს ცდა უკვე იწყებს საიმედო ნაყოფის გამოღებას და ამიტომ მიმდინარე გასტროლებზე ჩვენი მაყურებელი სიყვარულითა და პატივისცემით მოეკიდა მახარაძელთა ყოველ წარმოდგენას, ყოველ აქტიორულ სახეს.

ეროვნული თეატრის განვითარება შეუძლებელია ეროვნული დრამატურგიის გარეშე. ეს კარგად იცინა მახარაძელებმა და ამიტომ ძირითადად მის რეპერტუარშია როგორც ქართული თანამედროვეობის თემა („მე ვხედავ მზეს“, „აპრაკუნე“), ასევე ქართული კლასიკური და წარსული ლიტერატურული მემკვიდრეობის ნიმუშები („მოკვეთილი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „მაცი ხვითა“).

ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილის“ შეტანა მახარაძის თეატრის რეპერტუარში დიდი გაბედულება იყო, მაგრამ დავრწმუნდით, რომ სიმწელე კოლექტივმა გადალახა. ახალგაზრდა რეჟისორმა ლ. პაქსაშვილმა ამ სპექტაკლის დედებით გამოამყვანა არა მარტო ნიჭიერება შემოქმედისა, არამედ მაღალი პროფესიონალიზმი და ქართული კლასიკური ლიტერატურის კარგი ცოდნა; დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით განახორციელეს როლები ა. ქადეიშვილმა, ი. არობელიძემ, ვ. მექვაბიშვილმა. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ლ. თურმანიძის მიერ შექმნილი ჯავარას სახე. ამ მსახიობმა მთელ საგასტროლო რეპერტუარში ნამდვილი პროფესიონალიზმით განახორციელა არა ერთი როლი, რომლებიც მაყურებელმა დიდი სიამოვნებით მიიღო.

კმაყოფილების გრძნობით უნდა მოვიხსენიოთ მსახიობები: ვ. დოლიძე, გ. კალანდაძე, ვ. ბაჯღაძე, ან. ანდლულაძე, მ. წიგნაძე, გ. მდინარაძე, ლ. კალანდაძე, რ. ლომინაძე, თ. მოლარიშვილი, ალ. ცქიტიშვილი, ე. შიჩინაური, ე. დარჩია, ვ. ახბატელიანი, რომლებიც სპექტაკლებში თავიანთი კეთილსინდისიერი მუშაობით დამაჯერებლობითა და გულწრფელობით ქმნიან თეატრის ერთ მთლიან მოსაწონ, აქტიორულ ანსამბლს.

ჩვენი სურვილია მახარაძის თეატრმა მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს ინსცენირების საკითხში. ყოველგვარი ინსცენირება ვერ უტოლდება მისსავე ლიტერატურულ პირველწყაროს. ჩვენ ესეც მიგვაჩნია ერთ-ერთ მიზეზად იმ წარუმატებლობისა, რომელიც წილად ხვდა სპექტაკლ „მაცი ხვითას“.

საქმისადმი სიყვარული და გულმართალი დამოკიდებულების შედეგია ის, რომ ამ თეატრმა შეძლო მიმდინარე გასტროლებზე მაყურებლისათვის ეჩვენებინა პროფესიულობითა და კარგი გემოვნებით განხორციელებული

სპექტაკლები. მისი ეს მიღწევა საწინდარია იმისა, რომ მომავალში მახარაძის სახელმწიფო თეატრი კიდევ უფრო აამაღლებს თავის შინაარსიან ხელოვნებას“.

მოსხენების შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ: რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ. ნინიძე, მსახიობი ალექსანდრა ცქიტიშვილი, მაყურებელი გ. გოგუაძე და მახარაძის თეატრის დირექტორი რესპუბლიკის დამსახ. არტისტი ბ. ნაკაიძე, რომელმაც მადლობა გადაუხადა თეატრალურ საზოგადოებას განხილვა-დისკუსიის მოწყობისათვის.

---

## საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოღვაწეობა

1964 წლის III კვარტალში

ჭურნალ „მოამბის“ მესამე ნომერში გაშუქებულია საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ III კვარტალში ჩატარებული საჯარო ღონისძიებების ანგარიში. ამავე დროს ჩატარებულია აგრეთვე სხვა ღონისძიებებიც. ასე, მაგალითად, ივლისში თბილისში მყოფ ლატვიის ხელოვნების მუშაკებთან ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა დიმიტრი ჯანელიძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ქართული თეატრის ისტორიის ძირითადი საკითხები“. ამავე პერიოდში თბილისში საგასტროლოდ იმყოფებოდა ჯ. ჯაბარლის სახ. კიროვობადის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი, რომელმაც თბილისელ მაყურებელს უჩვენა თერთმეტი სპექტაკლი.

თეატრალურმა საზოგადოებამ კიროვობადის სახ. თეატრის კოლექტივს მოუწყო ხელოვნების მოღვაწეებთან შეხვედრა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპ. სახ. არტისტმა დ. ანთაძემ. შეხვედრაზე სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. რ. ალიევა (თბილისი), ა. მურსავეი (ბაქო), ი. ისფაგანლი (თბილისი), ალექსანდრეი (თეატრის დირექტორი), რესპ. სახ. არტ. პ. ფრანგიშვილი, ნ. კველიშვილი, ხ. აბავეი (თეატრის მთავარი რეჟისორი) და სხვ.

20 ივნისიდან 5 ივლისამდე თბილისს სავატროლოდ ეწვია აგრეთვე მოსკოვის მცირე თეატრის კოლექტივი, რომელმაც თბილისელ მაყურებელს უჩვენა რვა სპექტაკლი.

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ა. წ. 4 ივლისს მოაწყო შეხვედრა მოსკოვის მცირე თეატრის შემოქმედებით კოლექტივთან. შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა საზოგადოების თავმჯდომარე, რესპ. სახ. არტ. დ. ანთაძე. სიტყვებით გამოვიდნენ: კრიტიკოსი ბ. ჟღენტი, რესპ. სახ. არტ. ეკ. სატინა, რესპ. დამს. არტ. მ. პიასეცკი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი დ. ჯანელიძე, სსრკ სახ. არტისტები: მ. ცარიოვი, ელ. გოგოლევა, რსფსრ სახ. არტ. ვიტ. დორონინი, ე. სიმონოვი, რსფსრ დამს. არტ. ე. ბისტრიცკაია,

ხელ. დამს. მოღვაწე რეჟ. გ. ლორთქიფანიძე, რესპ. სახ. არტ. მ. ჯაფარიძე და სხვ.

აგვისტოს თვეში თბილისში გასტროლებზე ჩამოვიდა აგრეთვე ჩრდილოეთის ფლოტის თეატრი.

21 აგვისტოს მოეწყო ამ თეატრის კოლექტივის შეხვედრა თბილისის ვაგონ-შემკეთებელი ქარხნის კოლექტივთან, რომელზედაც საზოგადოებრივ საწყისებზე მოხსენებით გამოვიდა ხელოვნ. დამს. მოღვაწე რეჟ. შ. კილასონიძე, ხოლო 28 აგვისტოს კი მოეწყო თეატრის დასის გაცილება, სადაც საზოგადოების სახელით სიტყვით გამოვიდა რესპ. სახ. არტ. პ. ფრანგიშვილი.

გარდა ჩამოთვლილი ღონისძიებებისა, თეატრალურმა საზოგადოებამ 7-დან 22 ივლისამდე მონაწილეობა მიიღო რესპ. სახალხო თეატრების დათვალეირებაში, რომელიც თბილისში გრიბოედოვის სახ. თეატრში მოეწყო. განხილულ იქნა: ონის სახალხო თეატრის სპექტაკლი „მილიონერი“, ცხაკაიას სახ. თეატრის სპექტაკლი „კვალდაკვალ“, ორჯონიკიძის სახ. თეატრისა—„კერპჯიუტა“, ბორჯომის სახ. თეატრისა—„ვაზის ტირილი“, სამტრედიის სახ. თეატრისა—„დამნაშავე“, ჩოხატაურის სახ. თეატრისა—„მინდვრის დედოფალი“, ხულოს სახ. თეატრისა—„დაწუნებული სასიძო“, მაიაკოვსკის სახ. თეატრისა—„ჩემს სოფელში“, ველისციხის სახ. თეატრისა—„ახალი მისამართი“, ლანჩხუთის სახ. თეატრისა—„დამნაშავე“, გურჯაანის სახ. თეატრისა—„უმაღური“, ახალციხის სახ. თეატრისა—„საქმე № 1“, ცაგერის სახ. თეატრისა—„მინდვრის დედოფალი“, ზესტაფონის სახ. თეატრისა—„ვიწ არის დედა“ და სხვ.

დათვალეირებაში მონაწილეობა მიიღეს რეჟისორებმა: რესპ. სახ. არტ. პ. ფრანგიშვილმა, ხელ. დამს. მოღვ. ნ. გომიაშვილმა, თეატრმცოდნე ვ. კიკნაძემ, დრამატურგმა ს. მთვარაძემ, თავმჯდომარის მოადგილემ გ. იაკაშვილმა, რეჟერენტმა ლ. ლომთათიძემ და უფრ. რეჟერენტმა ნ. კველიშვილმა.

ამავე დროს თეატრალური საზოგადოების ხაზით რესპუბლიკის სხვადასხვა თეატრებში ჩატარებული იქნა მოხსენებები: ჭიათურის სახ. თეატრში რესპ. სახ. არტისტმა პ. ფრანგი-შვილმა წაიკითხა მოხსენება საზოგადოებრივ საწყისზე თემაზე: საქართველოს თეატრალური საზოგადოების მე-ნ პლენუმის შედეგები. თეატრმცოდნე ნ. შვანგირაძემ მახარაძის სახ. თეატრში წაიკითხა მოხსენება თემაზე: მახარაძის სახ. თეატრის გასტროლები თბილისსა და თელავში და — თანამედროვე საბჭოთა დრამატურგია“, ხოლო ყვარელის სახალხო თეატრში — „სახალხო თეატრის რე-

პერტუარი“; ყვარლისა და ცხაკაიას სახალხო თეატრებში ხელ. დამს. მოღვაწემ ნ. გოძია-შვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „რეჟისორის მუშაობა სახალხო თეატრში“.

მიღებულ და განხილულ იქნა აგრეთვე სახელმწიფო და სახალხო თეატრების ახალი დადგმები: მახარაძის სახ. თეატრის ახალი სპექტაკლი — „რისთვის ვცხოვრობ“ (მომხსენებელი ნ. შვანგირაძე), ონის სახალხო თეატრში — „ნაცარქექია“ და „თოლია“ (მომხსენებელი ვ. კიკნაძე) თელავის სახ. თეატრში „კაცია ადამიანი?“ (მომხს. ნ. შვანგირაძე და ნ. გოძიაშვილი) და სხვ.



## КРАТКАЯ АННОТАЦИЯ

Журнал „Моამბე“ № 3—орган Грузинского Театрального общества

Новый сезон, новые задачи

Каждый новый театральный сезон ожидается с волнением и надеждой, тем более если ему предшествовал не очень успешный театральный год. Новый сезон, гово-

рится в статье, должен разрешить многие актуальные творческие вопросы, стоящие перед театральными коллективами Республики.

### VI пленум Театрального Общества Грузии

В июле 1964 года состоялся традиционный пленум Т О Г, посвященный итогам текущего театрального сезона. В номере напечатана подробная информация об этом пленуме, который вступительным словом открыл председатель правления Т О Г Д. Антадзе.

Доклад на тему „Об итогах 1963-64 театрального сезона“ прочел начальник управления по делам искусств Министерства Культуры Грузинской ССР Вахтанг Челидзе. В своем докладе тов. В. Челидзе коснулся вопросов взаимосвязи театров республики и грузинской писательской организации, отметил плодотворную деятельность Батумского, Сухумского и Кутаисского театров, и некоторое отставание в работе Цхинвальского, Тбилисских детских и особенно ведущих театров республики—им. Руставели и им. Марджанишвили. Содокладчик зав. отд. те-

атров Министерства Культуры Грузии Т. Джанелидзе, проанализировал деятельность районных театров республики.

В прениях по докладам В. Челидзе и Т. Джанелидзе приняли участие тов. М. Мрелишвили, Г. Ахвледиани, Н. Швангирадзе, Г. Лорткипанидзе, Н. Киасашвили, А. Чимакадзе, С. Закаридзе, В. Жгенти, Ш. Габескирия, В. Анджапаридзе, Н. Урушадзе, Д. Джанелидзе, А. Чхартишвили, М. Пясецкий, О. Эгадзе, Э. Гугушвили, Б. Кобахидзе, М. Туманишвили, И. Тавадзе, М. Джанпаридзе, К. Махарадзе, Р. Стуруа, Н. Шалуташвили, А. Двалишвили, В. Канделаки, Н. Чхеидзе. Работу пленума подытожил министр культуры ГССР Т. Буачидзе.

В работе пленума принимали участие секретарь ЦК КП Грузии Д. Стуруа и зав. отделом ЦК КП Грузии Н. Черкезишвили.

### Гастроли в Москве и Сочи

В каждый свой приезд в Москву и другие города Союза, Тбилисский театр оперы и балета им. З. Палиашвили приобретает все новых и новых почитателей своего искусства. Оперная классика грузинских, русских и западно-европейских композиторов и балеты грузинских авторов в прекрасном

исполнении грузинских мастеров сцены, снизили театру любовь и благодарность многочисленных зрителей Москвы и Сочи. В корреспонденции, напечатанной в номере рассказывается о большом успехе гастрольных спектаклей Тбилисского театра оперы и балета.

## Гастроли театра им. Марджанишвили

Под таким заголовком в номере напечатана корреспонденция, рассказывающая о гастрольной поездке одного из лучших театров республики по городам и районам Грузии. Славный коллектив марджановцев показал трудящимся республики лучшие спек-

такли прошлых сезонов—„Деревья умирают стоя“, „Вдова солдата“, „Медя“, „Украли консула“ и одну премьеру спектакля „Неизвестный“, с участием Верико Анджaparидзе и других актеров театра.

## Гастрольная поездка театра им. Грибоедова

В конце 1963-64 театрального сезона Тбилисский русский театр им. Грибоедова гастролитовал в г. г. Сухуми, Батуми, Потн. В номере напечатана корреспонден-

ция, рассказывающая об успешном выступлении грибоедовцев перед зрителями приморских городов.

## Гастроли театра Музыкальной комедии им. В. Абашидзе

С 9 июня по 28 сентября продолжалась гастрольная поездка театра Музкомедии им. В. Абашидзе по городам и районам Грузии. В номере напечатана корреспонденция об успешном проведении гастролей театра, луч-

шие постановки которого принесли ему успех и любовь зрителей. Всего было проведено 211 спектаклей, которые посетило 103 тысячи зрителей.

## Гастроли Махарадзевского театра в Тбилиси

Лучшие районные театры Грузии частые гости Тбилиси. На этот раз перед Тбилисцами выступил коллектив Махарадзевского театра, показавший семь своих лучших постановок. В номере напечатан отчет о диспуте—разборе спектаклей театра, организованном Т О Г. На диспуте с докладом о творчестве Махарадзевцев выступила теат-

ровед Н. Швангирадзе, отметившая их похвальное стремление к выработке своего оригинального творческого письма. В прениях приняли участие нар. арт. респ. В. Ницидзе, актриса А. Цкитишвили, зритель Г. Гогоуадзе, директор Махарадзевского театра Накаидзе.

## Деятельность Театрального Общества Грузии в III—квартале 1964 г.

В номере напечатана информация о мероприятиях проведенных Т О Г в июле-сентябре 1964 г. Т О Грузии организовало встречу гастролитовавших в Тбилиси коллективов Московского гос. Малого и Кировобадского драматического театров с деятеля-

ми грузинского искусства и Тбилисскими зрителями.

Грузинское Театральное Общество приняло участие в смотре народных театров и разборе их новых постановок, организовало чтение докладов на театральные темы для театральных работников Грузии.

## СО Д Е Р Ж А Н И Е

	ст.
Новый сезон, новые задачи . . . . .	3
У I пленум Театрального Общества . . . . .	4
Гастроли в Москве и Сочи . . . . .	11
Гастроли театра им. Марджанишвили . . . . .	13
Гастрольная поездка театра им. Грибоедова . . . . .	16
Гастроли театра Музыкальной комедии . . . . .	17
Гастроли Махарадзевского театра в Тбилиси . . . . .	18
Деятельность Т О Г в III квартале 1964 г. . . . .	20

---

## ს ა რ ჩ ე ვ ი

ახალი სეზონი, ახალი ამოცანები . . . . .	33-3
თეატრალური საზოგადოების გამგეობის პლენუმი . . . . .	4
გასტროლები მოსკოვსა და სოჭაში . . . . .	11
კ. მარჯანიშვილის თეატრის წლევეანდელი გასტროლები . . . . .	13
გრიბოედოვის თეატრის წლევეანდელი გასტროლები . . . . .	16
ვ. აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის გასტროლები . . . . .	17
მახარაძის თეატრის გასტროლები თბილისში . . . . .	18
საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოღვაწეობა 1964 წლის III კვარტალში . . . . .	20

---

---

26  
27  
28  
29  
30  
31  
32  
33  
34  
35

მედიკოსი იუანე კობინი სკანდალს  
განაგრძობს. მისი წინადადებათა  
შედეგად, მისი თანამშრომლები  
მისივე თანამშრომლებს დატოვებენ.  
მისივე თანამშრომლებს დატოვებენ.  
მისივე თანამშრომლებს დატოვებენ.  
მისივე თანამშრომლებს დატოვებენ.  
მისივე თანამშრომლებს დატოვებენ.

НА ПРАВАХ РУКОПИСИ

Т О Г  
В Е С Т Н И К  
ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ  
(на грузинском языке)

Тбилиси—1964

№ 3 (29)

ფასი 16 კობ.  
Цена 16 коп.

გადაეცა წარმოებას 24|XI 1964 წ.

ბელმოწერილია დასაბეჭდად 16|II 1965 წ.

ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 1,75

საქართველოს თეატრალური საზ.-ბის სტამბა, თბილისი, გორკის ქ. № 3

Типография Театрального Общества Грузии, Тбилиси, ул. Горького № 3

Заказ 3773

УЭ 06626

Тираж 200

29. 114.

